№ 136
კვირა, 25 ივნისი, 1900 წ.

1877—1900

ივერია

№ 136
კვირა, 25 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერიის“ ტელეფონი № 227

თავ. ლევან ამირინდოს ძე და დედა მისი კნეინა ქეთევან სვიმეონის ასული ციციშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და გულ-შემატკივარ ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარის მეუღლისა და მეორე ძვირფასის რძლის

კნეინა ეკატერინესას

და სთხოვენ პატივისცემ და მობრძანდნენ კვირას, 25 ამ თვისას, დილის ათ საათზედ, განსვენებულის გვამის დასაკრძალავად სოფ. წრომში. (2—35—2)

ლუკა ნიკოლოზის ძე ხაფთასი და მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული შვილებითურთ სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ რათა დაესწრონ ორმოცის წირვას გარდაცვალებულის ძვირფასის შვილის

ქრისტეფორე ლუკას ძის ხაფთასისას

და მობრძანდნენ ორს ივლისს ტფილისის სადგურის პირდაპირ ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკკლესიაში. (2—136—1)

საზაფხულო თეატრი და ბაღი.
სამშაბათს, 27 ივნისს,
მოგზაური **ჯონ-მორისი**
გაჰმართავს
ზუნდოვან სურათებს
„ვეფხვის ტყაოსნიდგან“.
სურათები დამზადებულია ქ. ლეიპციხში.
(2—6.—1) გამგე ზ. მ. საფაროვი

მკურნალი
ვ. გ. წერეთელი
იღებს
შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე.
და საღამოს 6—8 საათამდე.
ადრესი: ელიზაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ ვედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ხაშმებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრობით—11—12 საათ.

ვ. გ. წერეთელი, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. ჭატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ზ. ლ. მარკევიჩი—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ძ. ი. ბძელიშვილი, 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

მ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница ***Д-ра Навасардіана.***

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ როგორც „Торг.-Пр. газ.“-ი იუწყება, უმაღლესად დამტკიცებულის მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით თავ. ნ. დ. ჭავჭავაძესა და ინჟენერს კ. ნ. სიმბერგს ნება მიეცათ შეადგინონ სააქციონერო საზოგადოება კახეთის რკინის გზის გასაყვანად სოფ. საქობომდე.

⁂ გუშინ, 24 ივნისს, ქალაქის გამგეობამ განიხილა გამგეობის წევრის ბ-ნ შესტაკოვის მოხსენება ქალაქის ლომბარდის 1899 წლის ანგარიშის შესახებ, აგრეთვე იმ კომისიის აზრი, რომელმაც ლომბარდის რევიზია მოახდინა, მოხსენება ლომბარდის გამგის ბ-ნ ბულდანოვისა და ამა წლის 12 და 22 მარტის დადგენილება გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოსი. ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ლომბარდის 1899 წლის მოგება სწორედ არ არის განაწილებულიო. გამგეობამ ამის

ფელეტონი

ჩვენებურის საქმის ბოლო

(ქუთათური ფელეტონი)

> არა სცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკვდის. (1 კორ. 36).

> შენც წახდი, მეც წამახდინე,
> ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს!
> ხალხური

დიდ, მეცხრამეტე საუკუნე, ჩვენ რამ გვეგონა, ისე ადვილად აღარ გვეთხოვება: მას უნდა ავად თუ კარგად შესანიშნავი რამ საქმე ჩაიდინოს იმერეთის დედა ქალაქში: აუღია ხელში რევიზია-გამოძიების რკინის ცოცხი და მოუნდომებია გასწმინდოს ქუთაისი ყოვლისაგან ბიწისა, მაგრამ ამით აცხოვნებს იგი სულსა ჩვენსა, თუ არა, ღმერთმა უწყის!

უნდა გამოვტყდე, ძლიერ მეშინიან: ვაი თუ ამ ახირებულს მცოცხავს ისე მოუვიდეს, როგორც ცუდლუტს პატარძალს მოუვა ხოლმე. ამისთანა მგველს, მოგეხსენებათ, ხან ამ კუთხეში დარჩება ხოლმე ნაგავი, ხან იმ კუთხეში, ხან ერთი კუნჭული მირჩება სრულიად ხელ-უხლებელი, ხან მეორე, ხან-კი ისეთს უალაგო ალაგსაც შემოიქნევს ცოცხს ბუჯერში, რომ მეტად საჭირო სამოჯახო სამკაულსაც-კი ყირაზედ გადუშვებს და ნაფჩხვენებად აქცევს. მაგრამ ამის შესახებ შემდეგში უფრო მოსახერხებელი იქნება ლაპარაკი, როცა რევიზია-გამოძიების მეხი სრულის ძლიერებით დაეცემა და ყველანი იძულებულნი შეიქმნებიან აღიარონ ნებსითი და უნებლიეთი სიტყვით და საქმით ჩადენილნი ცოდვანი.

ახლა-კი ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ახირებულმა ჩვენებურმა რევიზია-გამოძიების ცოცხმა გაზაფხულზედ და უფრორე მაისში დაიწყო გამწარებული ტრიალი და სულ ყველგან, მართალი რომ სთქვას კაცმა, ბდღვირიც აადინა, ალბად უფრო იმიტომ, რომ, მგონი; საგანგებოდ იმ ცოდვების გამოგვასა და გამომზევებას შესდგომია, რომელთა წყარო ყოველ წლობით გაზაფხულის სამაისო კრებებზედ ამოჩუხჩუხდებოდა ხოლმე კურთხეულს ქუთაისში.

მაშ გაკვრით შევეხოთ მაისის ბუნებას და ცოტა რამ ჩვენების ბრძოლისათვის შესადარი ვთქვათ.

ვის არ მოეხსენება, რომ მაისი შემამკობელი გვირგვინია მთელის გაზაფხულისა, მაგრამ ამასთანავე იგი ყოველს საგანს, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი ატყვია, საბრძოლველად და თავის დასაცველად გამოიწვევს. ყველას თითქო ძალღონეს უმატებს; ასტეხს საურთიერთო ბრძოლას და ამ ბრძოლაში ერთს სიცოცხლეს უძლიერებს, მეორეს უსუსტებს და უსპობს, ერთს ახარებს, ჰფურჩქნის, მეორეს აღონებს, აჭკნობს, ჰკლავს.

ამ დროს ყოველ მცენარის ძირში, ყოველ ქვეწარმავალისა და ცხოველის სორო-ბუნაგის ახლო-მახლო, ყოველ სირის ბუდის არე-მარეში განუწყვეტელი სისხლის ღვრა, ერთი მეორის კვლა, ყლაპვა და დანასის ხლაობაა. მაგრამ ამასთანავე ისაა საყურადღებო და საგულისხმო, რომ ეგ სხვისი მოსისხლე მცენარე, ქვემძრომი, ცხოველი, თუ ფრინველი, რომელიც ასე უწყალოდ უსპობს სხვას სხვისავე რიადაგეზედ სიცოცხლეს, თავისთვის, თავისს არე-მარეში, თავისს ოჯახში, თავისიანებში შემბრალებელი, გულ-კეთილი, თავგანწირულებამდე მამობრივის ხასიათისაა, თავ-დადებული დედ-მამა, ძმა და მეგობარია.

სწორედ ესაა, რომ ჰხიბლავს ადამიანის თვალს, ესაა მიზეზი, რომ მაისი წლის კეთილ-სურნელოვან და მშვენიერ თაიგულად მიგვაჩნია, მთელის წლის კორდად და ჟამთა სამოთხედა ვთვლით.

რაკი ჩვენი თვალის მასიამოვნებელი ყვავილ-ფოთოლი გაიშლება და გაბორბალდება, რაკი ჩვენი მრჩენელი ვაზი და პური საიმედო პირს გვიჩვენებს, რაკი ჩვენი მარგებელი ცხოველი და ფრინველი მსუქანი და სანაშენოდ გამოსადეგი გვეგულება, აბა რაღას დავეძებთ, რამდენმა არსებამ მოიტეხა კისერი მათთან ბრძოლაში, რამდენი გამოეთხოვა წუთი-სოფელს.

ვინც ბუნების მოვლენათა ზედაპირით არის გატაცებული, რაღა თქმა უნდა, ეს სურათი ორგვარს, ერთი-მეორის წინააღმდეგს, გრძნობას გამოიწვევს მისს გულში, მაგრამ ადამიანიც ხომ მეტად თავ-მოყვარე ეგოისტია და ამიტომ შევხარით მხოლოდ იმას, ვაქებთ და ვადიდებთ, რომელიც გაიმარჯვებს, რადგანაც გამარჯვებულნი ჩვენივე სასარგებლონი არიან. ამიტომაა, რომ სიკვდილის ნანგრევზედ აგებული შენობა სიცოცხლის თაიგულად მიგვაჩნია, საფლავში ჩანთხეული სისხლი ბუნების ემბაზის მირონად გვეხატება. სიკვდილ-სიცოცხლით შეზავებული სურათი ჰარმონიად გვიდგას თვალწინ.

ჩვენ, მომაკვდავთ, შეგვეძლო სხვანაირად გვეფიქრა, როცა თვით მაცხოვარი ამასვე ჰრძანებს: უკეთუ არა წარწყმდეს, არა სცხონდესო, ე. ი. სიცოცხლე სიკვდილის შვილიაო, და ჩვენი პოეტები ხომ უიმისოდ ენას არ მოიბრუნებენ: სიკვდილით ჰბადავ სიცოცხლესო, სასოებით და კრძალვით შესძახის გრიგოლ ორბელიანი სამშობლო ბუნებას.

ჩვენ ქუთაისლებიც, ვითარცა მაიმუნობის მოტრფიალე, თითქო სტიქიონს ავყვებოდით ხომე ყოველს მაისში, იმასა ვბაძავდით, მაგრამ ვბაძავდით და საომრად გამოვდიოდით იმ განსხვავებით, რომ ბრძოლის ველად თავისს არე-მარეს ვიწროდ შემოვიფარგლავდით, სისხლის საღვრელად თავისს კერასა და კედელ ყურეს არ ვშორდებოდით, მეტოქედ და მეოტად ჩვენსავე ძმებს, მეზობლებს, ღვიძლს შვილსა და ძირს დავიპირდაპირებდით, ერთი სიტყვით, თავისს თავზე მივიტანდით იერიშს, თავის დასაკლავად მოვიმარჯვებდით ხელს.

ეგ ჩვენი ისტორიული სენი თითქო სწორედ რომ ამ ვარდის თვეში გაიშლებოდა მთელის თვისის ძლიერებით, გაიფურჩქნებოდა სამაისო კრებებზედ და სწორედ ამ დროს დაგვიდგებოდა ერთი მეორის შინაობაში ყლაპვის ჟამი და თურმე ამავე დროს ყველანი ერთად წყალწაღების გზაზედ ვდგებოდით; თურმე ჩვენის ხელითვე ვითხრიდით სამარეს... როცა ზემოხსენებული ცოც-

გამო 1899 წლის მოგება ამ კრებაზედ ხელ-ახლა გაანაწილა.

⁂ ქალაქის საბჭოს შემდეგი სხდომა მოხდება ორშაბათს, 26 ივნისს. ამ ზაფხულს ეს უკანასკნელი სხდომა იქმნება.

⁂ როგორც ოფიციალურ ცნობებიდგან აღმოჩნდა, რუსეთის იმპერიის იმ ადგილებში, სადაც ერობა არ არსებობს, მეტად პატარა თანხას გადასდებენ ხოლმე საერობო შემოსავლიდგან პირველ-დაწყებით სკოლების დაარსებისათვის. 1896 წლის ხარჯთ-აღრიცხვით, 17 იმ გუბერნიასა და ოლქში, რომლებშიაც ერობა არ არსებობს, სრულიად არაფერი გადაუდვიათ ამ საჭიროებისათვის; 10 გუბერნიაში მცირე თანხა გადაუდვიათ და მხოლოდ რვა გუბერნია—ოლქში გადაუდვიათ საკმაო თანხა. საერო განათლების სამინისტროს ამის გამო დაუვალებია ამ ადგილების სამოსწავლო დირექციებისათვის, დროზედ შეატყობინონ ხოლმე სამინისტროს—თუ რა თანხასა სდებს ადგილობრივი ადმინისტრაცია საერობო შემოსავლიდგან სკოლებისათვის, რათა სამინისტროს შეეძლოს დროზედვე მიიღოს ზომები თანხის გადიდებისათვის.

⁂ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი პარასკევს, 23 ივნისს, საზაფხულოდ დ. კოჯორში გადავიდა.

⁂ ტფილისის საგუბერნიო ბეითალს დაევალა შეადგინოს ტფილისის გუბერნიისათვის პროექტი წესებისა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ერთის ადგილიდგან მეორეზედ იქმნეს გადატანილი საქონლის უმი ხორცი, როგორ უნდა ივაჭრონ მითი ქალაქის და სოფლების ბაზარზედ და როგორ უნდა შეინახონ საწყობებში. აგრეთვე შემუშავებულ უნდა იქმნეს წესი ხორცით მოვაჭრეებისა და მათ საწყობების მეთვალყურეობისა.

⁂ გუშინ, 24 ივნისს, შუადღის 12 საათზედ, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი სოფ. აღბულაღში წავიდა გრუზინსკის რაზმის დაარსების დღიდგან 200 წლის შესრულების გამო სადღესასწაულო იუბილეზედ დასასწრებლად.

⁂ 24 ივნისს სხდომაზედ ქალაქის გამგეობამ ქალაქის საყასბოს ბეითლად ბ-ნი ეარშამოვი დანიშნა.

⁂ თელავიდგან და განჯის გუბერნიიდგან კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას რამდენიმე განცხადება მიუღია. ამ განცხადებებით მევენახენი თხოულობენ მალე გაეგზავნოთ მათ ვაზის სამკურნალოდ საჭირო წამლები.

⁂ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რკინის გზების გამგეობებს აზრადა აქვთ შემოიღონ ვაგონი-სამკითხველოები პატარა სადგურებზე მოსამსახურეთათვის.

⁂ მომავალ 1900—1901 სამოსწავლო წელს ვლადივოსტოკის აღმოსავლეთის ინსტიტუტში პირველ კურსზე სტუდენტებს მიიღებენ უეგზამენოდ. გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულთ გარდა, ინსტიტუტში შესვლა შეუძლიანთ რეალურ სასწავლებლებსა, სემინარიებსა და სხვა საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ. თხოვნები 15 აგვისტომდე უნდა გაიგზავნოს.

⁂ აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტი პეტერბურგში შეუდგა თავისს 50 წლის არსებობის ისტორიის შედგენას. 50 წლიწადი ფაკულტეტს 1904 წელს შეუსრულდება.

⁂ მთავრობას აზრადა აქვს გადააკეთოს ტფილისის ფერშლის სკოლა. სკოლას მეტი უფლებები ექმნება. ვინც იქ სწავლას დაამთავრებს, შეეძლება 1) აღმოუჩინოს სამკურნალო შემწეობა ყოველ მოულოდნელ და საშიშ ავადმყოფობის დროს; 2) მოახდინოს სადოსტაქრო ოპერაციები, სისხლის გამოშვება და სხ. და 3) საზოგადოდ იმოქმედოს საექიმო დეპარტამენტის ინსტრუქციების თანახმად. სამსახურშიაც მეტი უპირატესობა ეძლევათ. სკოლაში იქმნება 45 პანსიონერი, რომელნიც შეინახებიან საერობო თანხის ფულით. მიიღებენ აგრეთვე მოსიარულე მოსწავლეთაც, თუ შენობა საკმაო აღმოჩნდება. სკოლაში იქმნება ოთხი კლასი, მიიღებიან ყმაწვილები არა ნაკლებ 14-ისა და არა უმეტეს 18 წლისა; უპირატესობა აქაურს სოფლელებს მიეცემათ. ვინც პანსიონში თავისს ხარჯით მოისურვებს შესვლას, მას 180 მან. გარდახდება, სახლიდგან მოსიარულეს კი 40 მან. სწავლის ფასი. წლიწადში სკოლის შესანახად 16,780 მანეთი იქმნება საჭირო. („ცნ. ფ“.)

⁂ ახალ-სენაკი. მაისის უკანასკნელს რიცხვებში, სოფ. ნახუნუში (სენაკის მაზრა), ერთი არა ჩვეულებრივი და საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ამ სოფლის მცხოვრებს ბიქტორ ძ—ს, რომელიც ცოლიანია, შეჰყვარებია მისივე სოფლის აზნაურის გაუთხოვარი ქალი. ამათ ეს რამდენიმე ხანია ერთმანეთი ჰყვარებიათ. ძ—ას ეს ქალი ამ რამდენისამე თვის წინად მოუტაცნია. თითქმის ერთს თვეს ქალი მისს ხელში ყოფილა. შემდეგ ქალის მშობლებს მიუგნიათ და ქალი წაურთმევიათ, მაგრამ მაინც თავს არ ანებებდა ამ ქალსა და ჰყვარობდა, უნდოდა როგორმე ისევ დრო ეპოვნა, ქალი მოეტაცნა და სადმე შორს გარდახვეწილიყო. თავისის ბირუტყვულ სურვილის აღსასრულებლად ის შორი-ახლოდგან თურმე უყარაულებდა ქალს მოსატაცებლად, მაგრამ ქალი მაშინ სულ სახლში იყო, რადგანაც აბრეშუმის ჭია ჰყვანდა მოსავლელი. რაკი თითონ ვერ მოახერხა, შემდეგ მიჰმართა ქალის ერთს მეზობელს და საჩუქარს შეჰპირდა, თუ ქალს მოატაცებინებდა. მართლაც მეზობელმა დრო უპოვა, როდესაც დედა ამ ქალისა და თითონ ქალი ეზოს გარედ ბგიმრას სჭრიდნენ აბრეშუმის ჭიის საცახოდ. ამ დროს ეს კაცი დაეცა თავისს სატრფოსა და ხელი სტაცა წასაყვანად, მაგრამ ქალის დედამ არ დაანება. კაცი დაემუქრა თურმე, ხელი გაუშვი, თორემ ეს-ეს არის მოგკლავო, მაგრამ დედა მაინც არ ანებებდა შვილსა. ამ დროს ძ—ამ ამოიღო რევოლვერი და ქალის დედა იქვე მოჰკლა. შემდეგ ერთი ტყვია თავისს სატრფოსაც უთავაზა შემდეგის სიტყვებით: „შენ აწი ჩემი მაინც არ იქნები, შენ ხარ მიზეზი ყოველის ჩემის მოქმედებისა“-ო. ქალი-შვილს სასიკვდილო არა სჭირს, მხოლოდ საბრალო დედა კი იმავე წამს გარდაიცვალა. მკვლელი ბიქტორ ძ—ა მაშინვე სადღაც გადაიკარგა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ყოველი ღონე მიიღო ძ—ს შესაპყრობლად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნიათ. ამბობენ, კაი ვაჟკაცია, ან ყაჩაღად გავარდება, ან და შორს ქვეყანაში არის წასულიო.

⁂ იქიდგანვე. ამ ივნისში აქ, დღე გამოშვებით, განუწყვეტელი წვიმები მოდის, რომელმაც მუშა კაცი ძალიან მოაცდინა ყანების მუშაობას. ჯერ აქეთ სიმინდები ნახევარზედ მეტი კაუმარგვლავია; რაც გაიმარგლა, ისიც ერაფერია. თუ ასე განაგრძო ამ თვემ, თქვენი მტერია, სიმინდებს ბალახი მოერევა და მოსავალი მოსცდება.

ბაზრობა უკვე დაიწყო. ხალხი საკმაოდ იყრის თავს.

⁂ სენაკის მაზრა. სენაკის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა წლიური გამოცდა ამ თვის 2-ს დაიწყო. მასწავლებელთა გამოცდა თითქმის 20-მდის გასტანს. წელს მთელს მაზრაში არ დარჩენილა ისეთი სკოლა, რომ სენაკის მაზრის სამრევლო სკოლების საბჭოსაგან ეგზამენების დროს რევიზორად სამეგრელოს სასულ. სასწავლებლიდგან მასწავლებლები არ გაგზავნილიყოს. ეგზამენებს ესწრება აგრეთვე გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ-ნი თ. ჟორდანია. სასიამოვნო და სასიხარულო აქ ის არის, რომ სკოლები ჩვენში საკმაოდ ვრცელდება და ბავშვები უსწავლელები არა რჩებიან.

⁂ წელს პოლტავის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაამთავრა ერთმა ქართველმა ბ. ნახუცრიშვილმა.

⁂ 22 ივნისს 25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც კავკავის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ნიკოლოზ ბესარიონის ძე ჭიჭინაძე ამ თანამდებობაში მსახურებს. კავკავში ამის გამო იუბილე გარდაიხადეს. იუბილიარმა ბ-ნმა ჭიჭინაძემ სამოსამართლო უწყებაში სამსახური დაიწყო 1868 წლიდგან. პირველად იგი დანიშნულ იქმნა ქუთაისის ოლქის სასამართლოსთან მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ, 1871 წელს ბაქოს ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად, ხოლო 1875 წელს ამავე სასამართლოს ბრალმდებლად. კავკავში 1879 წელს გადაიყვანეს და მას აქეთ იქა მსახურებს.

⁂ ტფილისის სამხედრო საავადმყოფოში ახლად დანიშნულს უფროს მკურნალს ბ-ნ ბრონნს ამ მოკლეს დროში მოელიან ქალაქ კაზანიდგან.

⁂ ხუთშაბათს, 22 ივნისს, პოლიციის 1-ლ ნაწილში, როგორც მეტივეებმა გორის მაზრის მცხოვრებთ გ. სირიბეგოვმა და გ. ქვრივიშვილმა განაცხადეს, საღამოს 6 საათზედ მათი ამხანაგი გორის მაზრის ს. კეხის-ჯვარის მცხოვრები სანდრო ჩანჩალაძე ტივიდგან გადავარდნილა მტკვარში და დამხრჩვალა. ჩანჩალაძეს გვამი ჯერ ვერ უნახავთ.

⁂ ხუთშაბათს 22 ივნისს, ტფილისის მოქალაქემ მ. გ. ფირადოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ ელისაბედის ქუჩაზედ, სახლ. № 152, ჩემთან ერთად მცხოვრებმა, მოგილოვის გუბერნიის გლეხმა, ვ. ს. შუპულინმა მომპარა ვერცხლის ქამარი, ღირებული 80 მანეთად და სხვა და სხვა ნივთები, სულ 180 მანეთისა და სადღაც დაიმალაო.

⁂ პარასკევს, 23 ივნისს, ქალაქის გამგეობაში კრება ჰქონდა ნიხრის დამწესებელ კომისიას, რომელმაც ძველი ნიხრი დასტოვა პურზედ.

◆

ხი გამოჰბლერტს საშინაო ბრძოლის ჩრდილში მიმალულს ნაგავს, მაშინ ხომ ყველასათვის აშკარა იქმნება, რა თავისს უბედურნი და ორგულნიცა ვყოფილვართ.

გეფიცებით, მკითხველო, რაც საფიქრად მეგულება, ძილში სიზმრად ჩამყვება ხოლმე ყოველთვის ეს საკითხები: რისთვის იბრძოდენ ეს კაცები, და რა მოიგეს ამ საქმეების ბრძოლაში? რა მოაგებინეს საზოგადოებას და რა შეასმინეს თვით საზოგადო საქმეებს? მაგრამ არ იქმნა და ვერ ვიპოვე ამისი პასუხი, იმის მეტი, რომ მებრძოლნიც წაგებულნი დარჩნენ, საზოგადოებაც და საზოგადო საქმეც.

ცარიელ სიტყვად რომ არავინ ჩამოგვართვას, აღვნიშნოთ, აბა რა მოჰყვა ამას: მარშლობის მოტრფიალენი გაღატაკდნენ, ოჯახ-სახლკარიანად ამოწყდნენ და ამოვარდნენ; მათნი ქომაგნი დაწიოკდნენ, დაღარიბდნენ და ახლა, სინსილა-გამოლეულნი, ძლივს-ღა დალასლასებენ. საბანკო კრების გმირები და აგიტაციების მოთავენი, ვინც დროზედ არ გაეცალა ბრძოლის ველს, ზნეობით გათახსირდნენ საზოგადოების თვალში და ნივთიერად რომ სამუდამოდ წელში გაწყდნენ, ამას საფარველი აღარა სდევს.

ახლა მოვიკითხოთ, რა მოიგო ასეთის ბრძოლის შემხედვარე და შექმნელ საზოგადოებამ? ასეთი ბრძოლისაგან გამოიყვანა ნეტამც რაიმე პრაქტიკული სახელმძღვანელო დასკვნა და გამოსადეგი მაგალითი, რომელთა შემწეობით შემდეგში მაინც შესაძლებელი გახდეს შემსუბუქება ჩვენის აწეწილ ცხოვრების ამიცანისა? გაისწორა განა წარსული შეცდომა? ურემის გადაბრუნების შემდეგ მოსჩანს ნეტა სწორე გზა, რომელზედაც შესაძლებელი იყოს თავისუფლად და უშიშრად სიარული!? არა. პირიქით, ამ ბრძოლამ ისე დააფრთხო საზოგადოება, ისე დააეჭვა, რომ თავისის თავისა აღარაფერი სჯერა, თავისის ზნეობა-გონების იმედი აღარა აქვს და სადღაც სხვის არე-მარისკენ უნებლიედ მიურბის თვალი, ეგებ იქ ვიპოვო მხსნელიო!

თვით საქმე თავისის თავის ზრუნვისა, საქმე თავისის მამულისა, ფულისა და ჰირნახულის მოვლისა წინ წაუვიდა, გაუმჯობესდა? ვაი და ვაი, რომ უკან დაიხია და უკუღმა მიიმართა! ვინც ჩვენს საქმეებს ყურს უგდებდა და ვინც ეხლანდელი მათი მდგომარეობა იცის, იმათთვის ას სიტყვების დასამტკიცებელ განმარტების მოყვანა ტყუილი დროს დაკარგვა იქმნება, რადგანაც ამისი საბუთი ყველას ხელის გულზედ აქვს გაშლილი.

კარგი, საქმის წინსვლა და გაუმჯობესება არ მოხდა, მაგრამ მებრძოლთა ზნეობითი და გონებითი სახე მაინც საქმის მდგომარეობის მიხედვით უნდა გამოერკვია ბრძოლაში ჩათრეულს საზოგადოებას, თვით საზოგადოებას უნდა განესაჯა ავკარგიანობა ამ ბრძოლისა, თვით უნდა ყოფილიყო მსაჯული როგორც თვისის საქმის, აგრეთვე მებრძოლმეტოქეთა და ქომაგთა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ვერ გამოდგა შესაფერ მსაჯულად, თვისი საოჯახო და საშინაო საქმეების პატრონად. პირ იქით, მან გამოიჩინა ყველა ის თვისება, რომლის მქონებელნი თავისს თავს სრულ წლოვან მოქალაქედ ვერ ჩასთვლიან. ჩვენმა საზოგადოებამ ამ ბრძოლაში უსუსურის ბავშვის როლი აღასრულა, იმ ბავშვისა, რომელსაც მზრუნველი, გადია სჭირია. დიაღ, მან ვერ მიუწყო კეისრისა კეისარსა და უფლისა უფალს. სასჯელის ღირსი ვერ დასაჯა, ღირსეული ვერ დააჯილდოვა.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენს უბრალო და მარტივს დაწესებულებაში, სადაც არითმეტიკისა და ეკონომიის მოკლე სახელმძღვანელოს შემწეობითაც ადვილად გავაფონს გულ-წრფელი და მუყაითი მოღვაწე, — აი ამ დაწესებულებაში ვერ მოვახერხეთ საქმის გაძღოლა და წაღმა მიმართვა: მაინც და მაინც შიგ შევიტანეთ პირადი ინტერესები და თვით საქმისათვის ვეღარ მოვიცალეთ. ეს იყო მიზეზი, რომ 29 მაისს ანდერძი აეგო ქუთაისის მეაბრეშუმეობის და ქსოვის ამხანაგობას მას შემდეგ, რაც იმავე ამხანაგობის სახსნელად მოწვეულს თანამგრძნობელს კაცებს ათას ნაირს ბრალში ხვევა დაუპირეს. და ვინ ჩამოსთვლის ჩვენის რამდენ ნაირ უბედურობის მიზეზია ის გარემოება, რომ ჩვენის თავის პატრონობასა და მოვლას, ერთპირად და თანხმობით შრომასა და მოღვაწეობას ვერ ვახერხებთ?!

ამის შემდეგ სად გამოვყოთ თავი სირცხვილით? ამის შემდეგ გვეთქმის განა ვისმესთან თავის გასამართლებლად, რომ ჩვენს ტანში მონობის სისხლი არა ტრიალებდეს? ამის შემდეგ შეგვიძლიან განა ვიფიქროთ და ვიოცნებოთ ისეთს რამეებზედ, რაც ადამიანს თავისუფლად მოქმედების გრძნობასა და სურვილს უღვივებს გულში?

მაგრამ შეიძლება ეხლანდელი მდგომარეობა ჩვენი საქმეებისა უიმედობის შედეგი იყოს? ეგებ აქ კვდება, იშლება და იხრწნება ჩვენი ისტორიულად შეხორცებული სენი— თავისის თავისავ ორგულობისა, თავისის თავისავ თავისივე ხელით ტეხვისა და გამანადგურებელ ბრძოლის ატეხისა. ვინ იცის?? იქმნება ამ ჩვენი თვით-მოქმედების სიკვდილით დაიბადოს ახალი სიცოცხლის ძალით და სიცხოველით გამსჭვალული ცხოვრება?

მაგრამ თუ ამითი არაფერი გაკეთდა, რაღა გვეთქმის ამის მეტი: შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა, გიხაროდესო!

ერთმანეთის წახდენის შედეგმა წრევანდელს მაისში იჩინა თავი: ადრინდელი გულის ფანცქალი სამეტოქეოდ ვარჯიშობისა აღარავის ასტეხია მაინც და მაინც: თითქო ყველას წინდაწინ ეგრძნო, რომ ჩვეულებრივი ბრძოლის სურვილი მომკვდარიყო... და ეს წინად გრძნობა ნამდვილიც გამოდგა: ვიდრე განსაკუთრებული განკარგულება არ მოხდება, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ჩვეულებრივი კრებები მთავრობისაგან აღკრძალულიაო, მოვიდა ბრძანება.

ამ ჟამად ქუთაისს ამ მოსალოდნელ განკარგულებისა და გამოძიების მეტი საფიქრებელი და სალაპარაკო არა აქვს-რა.

amicus

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთი

ჩინეთი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამ ჟამად პეკინში სულ 250 უცხო-ქვეყნელია მომწყვდეული. საელჩოების მოსამსახურეთა გარდა საელჩოებთან ყმაწვილი კაცებიც არიან ჩინურისა და კორეულის ენების შესასწავლად. ინგლისის საელჩოში, მაგალითად, 20 ყმაწვილი კაცია, რუსეთისაში—12, გერმანიისაში—9, საფრანგეთისაში—8 და ამერიკის საელჩოში —7, მისიებს შორის ყველაზედ დიდი საფრანგეთისაა. ამ მისიაში 40 ბერია. ლონდონის სამისიონერო საზოგადოება მხოლოდ 10 კაცისაგან შესდგება. ამათ გარდა ამერიკელთა და ინგლისელთ მრავალი საზოგადოება აქვთ. პეკინის უნივერსიტეტში 10 მასწავლებელია უცხო ქვეყნელი, ამათ შორის ორი ქალდეგაა: ტერრელი (მათემატიკის პროფესორი) და კენგი (ინგლისურის ენის პროფესორი). დასასრულ დავუმატოთ მთავარ ინსპექტორის რობერტ ჰარტის სამმართველოში 25 ევროპიელი მსახურებს.

— ამას წინად რომში დაბრუნდა გონკონგის კათოლიკეთა ეპისკოპოსი პიაცოლი. პიაცოლის უთქვამს ერთის გაზეთის თანამშრომლისათვის, რომ გონკონგში ყველანი განცვიფრდნენ, როდესაც „დიდის მუშტის“ ასე თი ძლიერი აჯანყება გაიგეს. ყველამ უწყოდა, რომ ეს სექტა რაღაცისთვის ემზადებოდა, მაგრამ არავის ეგონა, თუ იგი ასე უწყალოდ შეუდგებოდა ქრისტიანეთა ჟლეტასაო. „დიდის მუშტის“ მეთაურნი ჰფიქრობდნენ და ეხლაც ჰფიქრობენ, რომ ჩვენ საქმეს ხელს შეუწყობს ერთის მხრით—სამხრეთ აფრიკის ომი, მეორეს—ინგლისისა და რუსეთის მეტოქობაო. პიაცოლის აზრით, ჩინეთში წესიერების აღდგენის საქმე ორს სახელმწიფოს უნდა მიენდოს—რუსეთსა და იაპონიას. თუ სხვები ხელს არ შეუშლიან ამ ორ სახელმწიფოს, ისინი ხელად დაამყარებენ წეს-რიგს ჩინეთშიო.

— „Temps“-ი სწერს: „აჯანყება იან-ცე-კიანგის მიდამოებში თან და თან ძლიერდება: ხუ-პეისა და ნანკინის ვიცე-კოროლები ძალიან ჰშიშობენ, ინგლისმა იმათი ოლქები არ წაიგდოს ხელთ და საბაბად ის არ მოიდოს, რომ წესიერება უნდა აღვადგინოთ. ამიტომ ვიცე-კოროლებს გამოუცხადებიათ, წესიერებას ჩვენ თვითონ დავიცავთ, და უცხო-ქვეყნელთ არავითარ ვნებას არ მივაყენებთო. გონკონგში ნემეცებსა, ფრანგებსა და პორტუგალელებს შეუდგენიათ თავისუფალ მოხალისეთა რაზმი ევროპიელთა უბნის დასაცველად იმ შემთხვევაში, თუ კანტონის ჩინელებმა განიზრახეს რამ და იმ უბანს თავს დაესხნენ“.

— თითქმის ევროპის ყველა გაზეთები მისიონერებს უსაყვედურებენ და აწინდელ არეულობას ჩინეთში იმათ აბრალებენ. „Hamb. Nach“-ი ამბობს, ჩინეთში მცხოვრებ უცხო-ქვეყნელთ რომ შეეკითხოთ მისიონერების შესახებ, 100 კაციდგან 99 საგან იმათ გაკიცხვას გაიგონებთ. მისიონერები ძალიან სცდილობდნენ ქრისტიანობის გავრცელებას ჩინეთში და ამით ბუნებით მშვიდი ჩინელები მოთმინებიდგან გამოიყვანეს.

— ყველაზედ გულ-მოდგინედ ჯარის გზავნას ჩინეთში იაპონია შეუდგა. იაპონიის მთავრობამ პარლამენტისაგან 50 მილიონი იენი მოითხოვა ჩინეთში ოპერაციებისათვის. ამასთან, იმპერატორის თანხმობით, კრება ჰქონდა მინისტრთა საბჭოს, რომელმაც საჩქაროდ დაადგინა დიდ ძალის ჯარის გაგზავნა ჩინეთში. ამ ჟამად იაპონიას 20,000 კაცი ჰყავს მზად გასაგზავნად და საჩქარო გემებიც დაქირავებული აქვს.

ინგლის-ტრანსვაალის ომი. „Times“-ში ამ გაზეთის კორესპონდენტის წერილია დაბეჭდილი, სამხრეთ აფრიკიდგან გამოგზავნილი. კორესპონდენტი, სხვათა შორის, სწერს: „ამ ჟამად სამხრეთ-აფრიკაში მყოფ ინგლისის ჯარში 20,000 კაცია ავად და დაჭრილი. უმრავლესობა სახადით არის ავად. თუ ტყვედ წაყვანილსა და მოკლულებს ჩავთვლით, აღმოჩნდება, რომ ინგლისის ჯარს 40,000 კაცამდე მოჰკლებია. ეს დიდი დანაკლისია. ბურებს, მგონი, სულ არა ჰყოლიათ 40,000 კაცი ბრძოლის ველზედ გაყვანილი“. დასასრულ კორესპონდენტი ამბობს, რომ ომის დასამთავრებლად და ბურების საბოლოოდ დასამარცხებლად საჭიროა ეს ნაკლი შეივსოს, ე. ი. გაიგზავნოს სამხრეთ-აფრიკაში 40,000 ჯარის-კაცი კიდევაო.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მეტად საყურადღებო საქმე განუხილავს ამას წინად პარიჟში ადგილობრივ სასამართლოს. სასამართლოში გამოცხადდენ მშვენივრად გამოწყობილი ყმაწვილი კაცი და მშვენივრადვე გამოწყობილი ლამაზი ქალი. ყმაწვილ კაცს სახე საშინლად ჰქონდა რაღაც მუწუკებით დამახინჯებული. საქმის განხილვის დროს ყმაწვილ კაცს ძალიან სცხვენოდა და ცოტად გამბედავად მხოლოდ მაშინ დაიწყო ლაპარაკი, როდესაც მანდილოსანმა ღიმილით თავი დაუქნია და უთხრა, ნუ გცხვენიათ, ყველაფერი დაწვრილებითა სთქვითო. ყმაწვილ კაცსაც უთქვამს: „ამ ერთის კვირის წინად ჩემი სახე თუმცა ძალიან ლამაზი არ იყო, მაგრამ არც ესეთი საეჭვო მუწუკებით იყო აჭრელებული, როგორსაც ეხლა ჰხედავთ. პატივცემულმა მანდილოსანმა—და ამასთან ყმაწვილმა კაცმა მოწიწებით თავი დაუკრა მანდილოსანს,—რვა დღის წინად ნება მომცა ოპერაში გავყოლოდი. ჩვენ ლოჟის სიღრმეში ვისხედით. უკანასკნელ მოქმედების დროს, აღტაცებულმა მანდილოსნის სიმშვენიერით, ნება მივეცი ჩემს თავს და კისერში ვაკოცე. მეორე დღეს შევნიშნე, რომ ცხვირი გამწითლებოდა; თორმეტის საათის შემდეგ კიდევ სიწითლის ნაცვლად ჩემმა ცხვირმა ლურჯი ფერი მიიღო. აღარ გავიდა ბევრი დრო, რომ ამ სამარცხვინო მუწუკებმაც გამომყარა. მაშინვე მკურნალს მივმართე, რომელმაც გამომიცხადა, რომ თქვენი კანი რაღაც ქიმიურ ნივთიერებას მოუწამლავსო. მე ძალიან განვცვიფრდი. შემდეგ მკითხა, თმას ხომ არ იღებავთო; თმა მე არასოდეს არ შემიღებნია. მაგრამ ამ დროს უეცრად აზრმა გამიელვა და მომაგონდა კოცნა. მაშინვე წერილი მივწერე პატივცემულ მანდილოსანს და ვთხოვე ეცნობებინა, სახეზედ წასასმელად საღებავ ნივთიერებას ხომ არაფერსა ჰხმარობს. ამათ არ დაიზარეს და შემატყობინეს, რომ იმ საღამოთი, რა საღამოთიც ოპერაში ვიყავით, ახალი საღებავი ნივთიერება ვიყიდე, და პირველად ვცადეო“. შუშით ქალს სასამართლოში თვით ნივთიერებაც მიეტანა. როდესაც ექსპერტებმა გასინჯეს, დარწმუნდნენ, რომ ამ ნივთიერების ხმარება მეტად საშიში ყოფილა ჯან-მრთელობისათვის. ამის გამო როგორც ყმაწვილი ქალი, აგრეთვე კაცი იმ მაღაზიის პატრონს, რომლისაგანაც ქალმა ეს ნივთიერება შეიძინა, 1000 მანეთს ედავებოდნენ. სასამართლომ დამნაშავედ სცნო მაღაზიის პატრონი და გადაუწყვიტა 1000 მანეთის გარდახდა ყმაწვილის კაცის სამკურნალოდ. მკითხველი ადვილად მიჰხვდება აქედგან, რამდენად საშიშია კოცნა და ამ საქმეში რამდენი სიფრთხილე ჰმართებთ ყმაწვილ კაცებს.

მცირე შენიშვნა*)

„ქაჩალს ქაჩალი თუ არ დაუძახე, თითონ დაგიძახებსო“. თითქმის სამი თვე განმავლობს მას აქეთ, რაც „კვალმა“ და „ივერიამ“ გაილაშქრეს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ და დასაწყისიდგანვე თვალ-ყურს ვადევნებ ამ კამათს, მაგრამ ამ პოლემიკაში ვერა ვნახე საზოგადოების საინტერესო, ე. ი. საზოგადო კითხვის გამორკვევა, ერთმანეთის ლანძღვა-გინების და კილვა-კიცხვის გარდა. ამ წერილის დანახვისათანავე (რადგან „ივერიაში“ იბეჭდება) მკითხველი უეჭველია იფიქრებს, რომ ამის დამწერი „ივერიის“ მომხრე იქნებაო, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არც ერთთან და არც მეორესთან არავითარი საერთო და საკერძო არა მაქვს-რა და თუ ამ წერილს „ივერიის“ რედაქციაში ვგზავნი, ეს იმიტომ, რომ „კვალს“ ჩვეულებად აქვს მიღებული, თავისს საწინააღმდეგო წერილებს არა ჰბეჭდავს და ეს-კი არც ერთ სალიტერატურო ორგანოს არ ეკადრება. მე მხოლოდ, როგორც ამას ლიტერატურული ეთიკა და ზრდილობა მოითხოვს, მინდა სიმართლეს ვემსახურო და ამ წერილში გაკვრით და საერთოდ ვთქვა ორიოდე სიტყვა ამ საგნის შესახებ.

როგორც ვთქვი, აშკარაა, რომ ეს პოლემიკა გამოწვეულია არა რაიმე საზოგადო კითხვის გამორკვევის გამო, არამედ რაღაც პირადი ინტერესებითა და ინტრიგებით; აქ ჰსუფევს დას-დასობა და „შენ“-„ჩემო“-ბა, რის მიზეზითაც „ივერია“ და „კვალი“ მუდამ სავსეა ლანძღვა-გინებით (ნამეტნავად-კი „კვალი“). დალოცვილი „კვალი“ და მისი დავთარ და კვალ აბნეულ-დაბნეული დუნდგო გაიძახის, რომ „ივერია“ იგინება-ილანძღებაო, მაგრამ გადაათვალიერეთ „კვალის“ „სამეცნიერო“ ფურცლები და მაშინ ჰნახავთ, ვინ უფრო იგინება მეტს: „ივერია“, თუ „კვალი“. საერთოდ ვამბობ ამას და ამ გინების ნიმუშების თითო-თითოდ ამოწერას საჭიროდ არა ვრაცხ, რადგან, ჯერ ერთი, სათაკილოდ მიმაჩნია და, მეორე, იგი რამდენჯერმე უკვე იქმნა გამოაშკარავებული. ამიტომ „კვალს“ თამამად შეგვიძლიან უწოდოთ არა სამეცნიერო გაზეთი, როგორც თითონ ირქმევს სახელად, არამედ „ქუჩურ სიტყვების და ტერმინების ლექსიკონი“. მართლაც, ამ მხრივ ბ-ნი ჟორდანია გაწვრთვნილი ყოფილა, მართალია, რომ „კოკასა შინა რაც იდგა, იგივე წარმოდინდებოდა“ და ამიტომ მისი სულის ჩამდგმელ „კვალის“ ფურცლები მუდამ სავსე იყო ლანძღვით, მაგრამ, ამის მიუხედავად, „კვალმა“ დაასწრო „ივერიას“ და წინ-და-წინ უკიჟინა: „ილანძღები, იგინებიო“, მაგრამ არც იმას ვიტყვით, რომ სამაგიეროდ „ივერიასაც“ არ მიებაძნოს მისის მაგალითისათვის, მაგრამ „კვალმა“ რაც დასთესა, ის მომკო, და ეს ვისთვის რა საკვირველი უნდა იყოს. სწორედ ზედგამოჭრით ამაზედ ყოფილა გამოგონილი ანდაზა, რომ „ქაჩალს თუ ქაჩალი არ დაუძახე, თითონ დაგიძახებსო“.

ყველაზედ უფრო ამ წერილის საწერად იმ გარემოებამ გამომიწვია, რომ ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ და მის კვალ-დაბნეულ მიმდევრებმა, კუს არაკისა არ იყოს, გამოჰყვეს თავიანთი თავები და გაიძახიან: „მეც ნახირ ნახირაო, „ჩითრებთან“ „ახალ-მოსულებთან“ და მაგისთანებთან სალაპარაკოდ აღარა გვცალიანო, და წინადადებას აძლევენ ჟორდანიასაც, ნურც შენ მოიცლი, მიჰყევი შენის აზრების გავრცელებასო“. აფსუსი არ არის, რომ ვიღაც ქიათურელ ბავშვებს აღარა სცალოდეთ და აღარ ჰკადრულობდნენ „ჩითრასთან“ და „ახალ-მოსულთან“ მსჯელობას! მოდით და ნუ იტყვით: ქვეყანა როგორ არ დაიქცევაო?! ან, ნეტა რა აზრია ეს ჟორდანიას აზრი? რა უშავს, რომ ჩვენც გავეცნოთ ამ აზრს და ჩვენც გვასარგებლონ ამ ბუმბერაზ დუნდგოს გმირთა-გმირისა და კერპის ჟორდანიას აზრითა და მიმართულებით! ბ-ნ ჟორდანიას, როგორც ჩვენ ეს ვიცით, უმთავრეს დევიზად, დედა-აზრადა და საგნად აღებული აქვს ხალხი და მისი ავ-კარგი, მაგრამ ნუ თუ დასაჯერებელია, რომ „ივერიას“, სხვა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას და, ბოლოს, ჩვენ, საზოგადოებას, აღარ გვრწამდეს-რა ხალხისა და აღარ შეგვტკივოდეს იმისათვის გული! მაგრამ, არა, ბატონებო, საქმე ის არის, რომ ნ. ჟორდანიას ჰსურს უბრალო ხალხს თვალები აუხვიოს, გაღმერთდეს მათ შორის, კერპად აღიარებულ იქმნას, სახელი და ცოტაოდენი.... მოიხვეჭოს, მაგრამ, დარწმუნებული უნდა ჰბრძანდებოდეს, რომ ამ გვარის ხრიკებით ფონს ვეღარ გავა და ბოლოს თვით მის მიერ საგნად აღებულ ხალხის სასაცილოდ გახდება, როცა-კი გაიგებენ მის ქარაფშუტობა-უვიცობას, თორემ ამას მალე ჰნახავთ... სახელის მოხვეჭის შესახებ გაიხსენეთ ჰეროსტრატი, რომელსაც ჰსურდა, რომ მისი სახელი ისტორიაში ხსენებულიყო და დაასწვა შესანიშნავი ტაძარი საბერძნეთისა. მართლადაც დღესაც იხსენიებს ისტორია იმას, მაგრამ როგორ, —ამას ყველა მიხვდება...

ჩვენცა გვწამს ხალხი. მისი ავ-კარგი, შეგვტკივა მისთვის გული, მაგრამ არა ისე, როგორც ბ-ნ ჟორდანიას, რომელიც ყოველის თავისის მოქმედებით ჰსურს, მტრობას, დას-დასობას, სიცუღლუტეს და სიყალბეს ჰბადავს და აჩვევს ხალხს. თუნდაც დაუკვირდით ამ უკანასკნელ პოლემიკას: რამდენი ჩხუბი და დავიდარაბა ატეხილა ამის შესახებ, რამდენი ყალბი, შეკეთებული, საქმის უცოდინარობით ხელ-მოწერილი წერილები მისულია „კვალის“ რედაქციას მისს ბრმად თაყვანის მცემლებისა და აგენტებისაგან და რამდენი უსიამოვნება გამოუწვევია ამ პოლემიკას (რომლის მიზეზიც ბ-ნი ჟორდანია ჰბრძანდება) პროვინციებში. ვინ მოსთვლის! იმისთანა ყალბ და ხელ-მოუწერელ (თუ გინდ ხელ მოწერილს, მაგრამ საქმის უცოდინართა მიერ) წერილებს-კი არა, ნამდვილ, რამდენისამე ასისა და ათასის კაცის მიერ ხელ-მოწერილ წერილს გავუგზავნი „ივერიის“ რედაქციას „კვალის“ საწინააღმდეგოდ, რომ ეს პატიოსნური, სინიდისიერი და რაიმე კეთილის საქმის დამხმარებელი იყოს, მაგრამ ეს საქმეს არაფერს უშველის და არც ამით რამე გაკეთდება და დამტკიცდება. პირ-იქით, დიდს ზარალს და უსიამოვნებას მოიტანს.

აბა მაგალითი მიჩვენეთ, რომ ცოტაოდენად მაინც საზოგადოების სასარგებლო და მოღვაწე კაცს გამოეთქვას რამე „ივერიის“ წინააღმდეგ საყვედური, სოფლის ბაღანეებს გარდა „კვალში“, მაშინ როდესაც „კვალი“ ხან კ. აბაშიძეს ებრძვის, ხან „ლალს“, ხან თ. ნ. თავდგირიძეს და სხვათა?!

მე აქ, ყოველსავე საერთოდ, საზოგადოდ შევეხე და თუ საჭირო გახდება, ჩემს სიტყვებს თითო-თითოდ დავამტკიცებ კიდეც... მაგრამ ყოველს შემთხვევაში ვისურვებთ, რათა ეს არა სასიამოვნო კამათი მოსპობილ იქმნას და „კვალს“ მართლაც მოეკიდოს ხელი რაიმე საზოგადო საქმისთვის.

გურულ-მეგრელი

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო რუსული წიგნი „Краткій очеркъ кустарныхъ промысловъ на Кавказѣ“, შედგენილი ა. ს. ფირალოვის მიერ. წიგნი საყურადღებოა, ამიტომ იმის შინაარსს მკითხველებს დაწვრილებით შემდეგ გავაცნობთ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ივნისი. *)

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა შემდეგი უმაღლესი ბრძანება: „კვანტუნის ოლქში დაბანაკებულ ჯარების შესავსებად, თუ ამას გარემოება მოითხოვს, საჭიროდ ვცანით მივანდოთ კვანტუნის ოლქის უფროსს გაიწვიოს სამხედრო სამსახურში ის სათადარიგო ჯარის-კაცნიც, რომელნიც მისდა მინდობილ ოლქში სცხოვრობენ“.

ჩიფუ. ევროპიელთა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის დღემდის არსებულ მშვიდობიან დამოკიდებულებას ეხლა არღვევენ აქ მოსული მეამბოხენი და ჩინეთის ჯარის უწესო ყოფა-ქცევა. გერმანიის ელჩმა ხელ-ახლა გამოსცა პროკლამაცია მცხოვრებთა დასამშვიდებლად, რომელნიც, პეკინიდგან გამოგზავნილ უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძანების გამო, ძალიან არიან აღელვებულნი.—საფრანგეთის 800 ჯარის-კაცი გუშინ ტაკუში მოვიდნენ ორის ზარბაზნით. მოკავშირეთა ჯარი ახალ, მისაშველებელ ჯარს მოელის და მანამდე არ წავა პეკინში, ვიდრე ეს ჯარი არ მოვა აქ. ეხლა წვიმების დროა და სურსათის ზიდვა ძნელია. წყალდიდობაც მოსალოდნელია. სახმელეთოდ გასვლა ეხლა თითქმის შეუძლებელია.

კანტონი. აქაურმა ჩინურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ქვრივის იმპერატრიცის მიერ ლი-ხუნ-ჩანგთან გამოგზავნილი ორი ბრძანება, რომელიც შეეხება „დიდის მუშტის“ მოძრაობას, ევროპიელთა ბრძოლას ჩინეთთან და იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიაც ჩინეთის მოხელენი ჩაცვივდნენ. ამ ბრძანებებში ნათქვამია, რომ ყოვლად შეუძლებელია შერიგება ქრისტიანებთან, რომელთა წინააღმდეგაც ამხედრდა მთელის ჩინეთის ხალხი და იმასთან ერთად ჯარი, სწავლულნი, თავად-აზნაურნი და პრინცებიო. უცხო-ქვეყნელთ თვით პირველებმა დაიწყეს ბრძოლა იმით, რომ ტაკუზედ იერიში მიიტანეს, რამაც უფრო გააბრაზა და გააჯავრა ჩინელნიო. ხალხის ასეთის მოძრაობის ჩაქრობა მეტად საშიშია, ამიტომ უკეთესად მიმაჩნია ვისარგებლოთ ჯერ ამ მოძრაობითაო. პეკინში მყოფ საელჩოებს, რომელთაც განსაცდელი მოელით, იმპერატრიცა დაცვასა ჰპირდება. ვინ აღმოჩნდება ძლიერი, ევროპიელნი თუ ჩინელნი,—ამას შემდეგში დავინახავთო; ყოველს შემთხვევაში გუბერნატორებმა დაუყოვნებლივ უნდა შეჰკრიბონ ჯარი თავიანთ ოლქების დასაცველად და ისე იმოქმედონ, როგორც თვით სცნობენ საჭიროდ. გუბერნატორთ პასუხი უნდა აგონ ყოველ წართმეულ ადგილისთვისაო.

ლონდონი. ბულლერი დეპეშით იუწყება სტანდენტონიდგან, რომ კლერი ზუიკერბორებთან გარტს შეუერთდაო. გზაში მათ მხოლოდ ცოტაოდენი წინააღმდეგობა გაუწიესო.

გონკონგი. გუბერნატორი ბლეკი ჩრდილოეთიდგან დაბრუნდა. გუბერნატორმა არ მიიღო გერმანელ თავისუფალ მეომართა წინადადება— მონაწილეობას მივიღებთ ახალშენის დაცვის საქმეშიო. ბლეკმა სთქვა, თუ საჭირო იქნება, საპოლიციო სამსახურისთვის მოგიწვევთო. რაზმი ამის გამო დაიშალა.

შანხაი. პეკინიდგან 14 ივნისს გამოგზავნილმა კაცმა ამბავი მოიტანა, რომ პეკინში 100,000-ზედ მეტი მეამბოხე და ჯარის-კაციაო. საელჩოში შესვლა მათ ჯერ ვერ მოახერხესო.

ბრიუსელი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა სიპიდო და ბრძანება გასცა, რომ გაანთავისუფლონ. სამი სხვა ბრალდებულიც გაანთავისუფლეს.

პეტერბურგი. 23 ივნისს მათი უდიდებულესობანი ხოლმ ლიუბლინსკში წავიდნენ, სადაც 25 ივნისს

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ავტორის დაბეჯითებულ თხოვნისა გამო, თუმცა ზოგიერთს აზრში ბ-ნს გურულ-მეგრელს არ ვეთანხმებით. რედ.

*) ეს დეპეშა 24 ივნისს მოვიდა.

მოსკოვის მათის უდიდებულესობის მე-65 რაზმი 200 წლის არსებობის იუბილეის დღესასწაულობს.

მოვიდა შემდეგი დეპეშა: ნიუ-ჩუანიდგან: „7 ივნისს თოფის წამლის საწყობის აფეთქების დროს მუკდენში მოკლულ იქმნა 50 კაცი. აქაურმა უფროსმა გამოაცხადა, რომ წვიმების გამო ჩინეთის გზაზედ ხიდები ინჟინრებმა აიღებინეს. „დიდ მუშტს" მონაწილეობა არ მიუღია გზის დაქცევაში. ჩრდილოეთიდგან 100 კაცი იქმნა დაბარებული გზის დასაცველად". ნიუ-ჩუანიდგან 9 ივნისს: „უფროსმა გამოაცხადა, რომ მუკდენიდგან დაბარებული კავალერია წამოვიდაო. ეს კავალერია ინკოუნის სადგურთან დადგება. უცხო-ქვეყნელთ განიზრახეს აქ მილიცია შეადგინონ; მათ გემის „ოტვაჟნის" კაპიტანს უფროსობა სთხოვეს. გზაზედ ჩინელები და მუშები აღარა დგებიან. ქალაქში ჩინელების დუქნები დაკეტილია". კოლსკიდგან 19 ივნისს: „გერინისა და ხეილუძის პროვინციებში ამ უკანასკნელ თვეს ისეთი არაფერი მომხდარა, რომ საშიში იყოს შემდეგისათვის ან სასტიკის ზომების მიღება იყოს საჭირო; ამისდა მიუხედავათ რკინის გზის ადმინისტრაციამ დარაჯნი მაინც გააძლიერა ზოგიერთ ადგილებში. ამასთან სცნობენ, რომ ეს დარაჯნი საკმაო არ არიან გზის დასაცველად. მთავარი ინჟინერი შუამდგომლობს, რომ დარაჯთა რიცხვი გამრავლებულ იქმნას. უკვე მიღებული ზომები საკმაოა, თუ აწინდელი ვითარება საქმისა მანჯურიაში არ შეიცვალა და ცუდი შედეგი არ მოჰყვა".

პორტ-არტურიდგან მთავარმა სახღვაოსნო შტაბმა მიიღო 5 ივნის გამოგზავნილი დეპეშა, რომ კუნძულ ელლიანგზედ დაპატიმრებულ იქმნა ექვსი გემი ზღვის ყაჩაღებით. გემები და ყაჩაღები ბირდზევოში წაიყვანეს.

როდესაც იაპონიის კაბინეტი იაპონიის ჯარის ჩინეთში გაგზავნის შესახებ შეეკითხა რუსეთს რუსეთის საიმპერატორო მთავრობამ, როგორც ჩვენ ყოვლად სარწმუნო წყაროდგან შევიტყეთ, ჯერ ისევ 14 ივნისს აცნობა, რომ ამ შემთხვევაში სრულ თავისუფლად მოქმედების უფლებას აძლევს იაპონიის მთავრობას, მით უმეტეს, რომ იაპონიის მთავრობამ განაცხადა, სხვა სახელმწიფოებთან ერთად თანხმობით ვიმოქმედებო.

ვაშინგტონი. რადგანაც შეერთებულ შტატებს არ შეუძლიანთ თავის დროზედ გაჰგზავნონ ჯარი პეკინის განსათავისუფლებლად, ამიტომ აზრადა აქვთ იაპონიას მიჰმართონ, და ჰფიქრობენ, რომ სხვა სახელმწიფოებიც ასევე მოიქცევიან. რაც შეეხება იმ ხმას, რომ რუსეთს შეჰშურდება და ხელს შეუშლის იაპონიასაო, შეერთებულ შტატებს ამის გამო რუსეთმა და იაპონიამ აცნობეს, რომ ეს ხმა საფუძველს მოკლებულია. მთავრობა სამზადისშია, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, შესამჩნევად გააძლიეროს ჯარი პეკინში.

ლონდონი. გაზეთები ამბობენ, ყოველგვარი დიპლომატიური ზომები იქმნა მიღებული, რათა იაპონიამ გაჰგზავნოს იმდენი ჯარი, რამდენიც ეხლა მზადა ჰყავს და ამით ხელი შეუშალოს ევროპიელების ამოწყვეტას პეკინში, თუ უკვე გვიან არ არისო. გაზეთები ამბობენ აგრეთვე, რომ დიდ პასუხის მგებლობას იტვირთებს ის სახელმწიფო, რომელიც კერძო ინტერესებისათვის ხელს შეუშლის ევროპიელთა [illegible]ლისაგან გადარჩენის საქმესაო.

შანხაი. სამმა ჩინელმა, რომელნიც პეკინში უცხო-ქვეყნელთ ემსახურებოდნენ და ეხლა-კი იქიდგან გამოიპარნენ, ამბავი მოიტანეს, რომ ყველა უცხო-ქვეყნელნი, სულ 1000 კაცი (ამ რიცხვში 400 ჯარის-კაცი და ჩინეთის ტამოჟნის 100 მოხელე) ცოლებითა და შვილებით, ინგლისის საელჩოში იყვნენ გამაგრებულნი იმ დრომდე, ვიდრე საომარი მასალა და სურსათი შემოაკლდებოდათ. ეხლა, როგორცა სჩანს, საელჩო დაუწვავთ და ყველა უცხო-ქვეყნელნი დაუხოცნიათ. ამბობენ, რომ იმპერატორი და იმპერატრიცა მოსწამლესო.

ლონდონი. საღამოს გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ შანხაიდგან, რომ 16 ივნისს იმპერატორმა ოპიუმით თავი მოიწამლა და სიცოცხლე მოისპოო. პრინცმა ტუანმა აიძულა ასე მოქცეულიყო. იმპერატრიცამაც მიიღო შხამი, მაგრამ სიკვდილს გადარჩა, თუმცა ოპიუმისაგან გონება სრულიად დაჰკარგაო.

შანხაიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ როგორც ნამდვილის წყაროებიდგანა სჩანს, საიმპერატორო გვარეულობის პრინცები ყველანი „დიდ მუშტს" შეუერთდნენო.

ბრემენი. დეპეშით შემდეგს იუწყებიან: „საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პეკინში მყოფი უცხო-ქვეყნელნი ყველანი დაიღუპნენ. აჯანყება ჩრდილოეთ ჩინეთში ვრცელდება. უცხო-ქვეყნელები ტიან ძინიდგან უნდა გასულიყვნენ, რადგანაც ჩინელნი ხელ-ახლა აპირობენ თავს დასხმას. არეულობანი შანტუნში თანდათან ძლიერდება, მაგრამ ჯერჯერობით ტიანძინსა და შანხაის ოლქებში საშიში არაფერია, რადგანაც ვუხანისა და ნანკინის ვიცე-კოროლები არაფრად აგდებენ პეკინის აწინდელ მმართველთა ბრძანებებს. ყოველ შემთხვევაში საქმის ვითარება მაინც სერიოზულია.

ლონდონი. მთავრობამ აცნობა ჩინეთის ელჩს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომ ვნება მიაყენეს ევროპიელებს, დამნაშავეებად ამაში თვით პეკინის მოხელენი იქმნებიან ჩათვლილნიო. ამასთან ელჩს დაევალა, ეს ამბავი უეჭველად პეკინში გადასცეს.

პარიჟი. გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, ელჩი ფრანსუა ლაოკოში მოვიდა და თან მოიყვანა ფრანგები, რომელნიც იუნანში იყვნენო.

ჰავრი. ბურების დელეგატები აქ მოვიდნენ.

მასსერუ. ბურებმა მოიწადინეს ხელ-ახლა ფიკსბურგის დაჭერა. შუადამისას საშინელი სასტიკი ბრძოლა მოხდა, რომელმაც რამდენიმე საათი გასტანა. ბრძოლა სენეკალთანაც მოხდა.

24 ივნისი.

ლონდონი. პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, — იაპონიის მთავრობას ბრიტანიისაგან ეცნობა, რომ საჩქაროდ გაგზავნა ტაკუში დიდის ჯარისა ბრიტანიისათვის დიდად სასიამოვნო იქნებაო. ასეთის მოქმედების წინააღმდეგ არც ერთს დიდს სახელმწიფოს უკმაყოფილება არ გამოუცხადებია. რადგან მოლაპარაკება ჯერ არ დაბოლოვებულა, მეტს ვერაფერს გაცნობებთო. კანნორმა ჰკითხა, — ისე ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ ეს სიტყვები, რომ იაპონიის წინაშე მიმართული თხოვნა იმოქმედოს ამ საქმეში დიდთა სახელმწიფოთა ერთობილის თანხმობით მოხდაო. მინისტრის ამხანაგმა ამის პასუხი არ მისცა.

ტიან-ძინი. უცხო-ქვეყნის ჯარის უფროსებმა გარდასწყვიტეს სასოწარკვეთილ საშუალებათათვის მიემართათ, მაგრამ ტიან-ძინიდგან გასვლა ჯარით ნამდვილი დაღუპვა იქნებოდა ამ ჯარისა, იმას გარდა, რომ ამ შემთხვევაში ევროპიელებს გაჟლეტავდნენ, რადგან ისინი სრულიად უშემწეოდ დარჩებოდნენ. წყლის მოზიდვაც საძნელო იქნებოდა, რადგან ამ ადგილას წყალი არ არის, წყაროს წყლის მეტი, და ჰემიც მოწამლულია. ჩინელები საშინელის სისასტიკით ეკიდებიან დაჭრილებს და დახოცილებს ასახიჩრებენ. გენერალი იუნუცხანი 10,000 ჯარისკაცით, რომელნიც ჩინეთის საუკეთესო გაწვრთნილს ჯარს ეკუთვნის, და მაჰმადიანთაგან შესდგება, სამხრეთ დასავლეთიდგან უახლოვდება პეკინს. სატახტო ქალაქს ახლო 50,000-მდე ჯარი სდგას ქვრივი იმპერატრიცა საზაფხულო სასახლეში გაიქცა მაჰმადიანები და დიდი მუშტი პეკინში იბრძვის. ქალები და ბავშვები ტიანძინიდგან ტაკუში იქმნებიან გადაყვანილნი. ტიანძინიდგან დაწყებული ტაკუმდე მდინარე სავსეა დახოცილთა გვამებით, რომელთაგანაც ბევრი მდინარემ გამორიყა. უცხო-ქვეყნელნი ტიანძინში აცხადებენ, რომ რუსების მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, თუ ცოცხალნი ვართ, რადგან სხვათა სახელმწიფოთა მცირე რაზმები ურუსებოდ უეჭველად დამარცხებულნი იქმნებოდნენო 7 ივნისს, როდესაც ჩინელები ყოველ მხრიდგან მოაწვნენ ჯარს, თვით დიდად მამაცებმაც კი იმედი დაჰკარგეს, მაგრამ რუსის ჯარის პოლკოვნიკმა უბრძანა ჯარს განაწილებულიყო, რომ როგორმე მიეღწიათ ევროპიელებითურთ ტიანძინიდგან ტაკუმდე. 400 რუსი ჯარის-კაცი ქალაქის დასაცველად უნდა დარჩენილიყო, რომ ეჭვი არ აღებინებინათ მტრისათვის და, თუ გაუჭირდებოდათ, ემსხვერპლათ კიდეც თავი. ბრიტანიისა და ამერიკის ჯარის დროზედ მოსვლამ გადაარჩინა ისინი განსაცდელს. თოფხანების დაჭერამ დაანახვა ევროპიელებს, სხვათა შორის, რა დიდი სამზადისი ჰქონია ჩინელებს ომისათვის. ტიანძინს გარეშე თოფხანაში ორ მილიონზედ მეტის ღირებულობის თოფები და საომარი სამზადისია გაუქმებული.

შანხაი. ბრიტანიის ელჩი აცნობებს აქაურის გაზეთით იმათ, რომელნიც ვეი-ხაი-ვეიში აპირებენ წასვლას, რომ იქ გადმოსვლა აღკრძალულია, რადგან სამხედრო წეს-რიგია შემოღებულიო.

ვაშინგტონი. ამერიკის შანხაიელი ელჩი დეპეშით აცნობებს 22 ივნისს, რომ ამბოხება ვრცელდება და თუ მოკავშირეთა ჯარი ჩრდილოეთში დამარცხდა, უწესოება შუა და სამხრეთ ჩინეთშიაც მოეფინება და ამას უცხო ქვეყნელთა ამოჟლეტა და განდევნა მოჰყვებაო. დიდი ჯარია საჭირო, რომ შეიმაგროს ჩრდილოეთის ვიცე-კოროლები და დახმარება გაუწიოს სამხრეთის ვიცე-კოროლებსაო.

ლონდონი. შანხაიდგან იუწყებიან, რომ პეკინში უცხო-ქვეყნელთა გარდა, ჩინეთის საიმპერატორო ჯარმა 5,000 ადგილობრივ მცხოვრებ ქრისტიანე ამოჟლიტა.

ვაშინგტონი. იაპონიის საელჩოში ტოკიოდგან ოფიციალური დეპეშაა მიღებული, რომ იაპონიას განზრახვა აქვს ჩინეთში შერეული დივიზია გაგზავნოსო. საერთო რიცხვი იაპონიის ჯარისა ჩინეთში 22,000 აგა.

პარიჟი. ბურების დელეგატები მოვიდა პარიჟში. ქალაქის თვით მართველობის საბჭოს პრეზიდენტმა სამშაბათისათვის მიიწვია იგი Hotel de ville-ში.

მოსკოვი. 23 ივნისს ოლქის სასამართლომ დაიწყო განხილვა მოსკოვ-იაროსლავის რკინის გზის გამგეობის ბოროტ-მოქმედების საქმისა. ბრალდებულნი არიან საბა მამონტოვი, მისი ძმა და ორი შვილი, არციბუშევი და კრივოშენი.

შანხაი. ტიან-ძინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 30,000 ჩინელი გაჩნდა, რომელნიც ლუტაიდგან მოდიან. რუსეთისა და იაპონიის ჯარმა უკუაქცია ისინი ჯარის მოქმედებას ხელს უშლის სურსათისა და წყლის უქონლობა. მანჯურიიდგან ყოველ დღე ჩინელებს დიდ ძალი ჯარი ემატება. ამერიკელი მისიონერები და სხვანი გადარჩენილნი, რიცხვით 35, 20 ივნისს მოვიდნენ ცზინტაუში. ბრიტანიის ელჩმა განსაცდელიდგან თავის დაღწევის უკანასკნელ საშუალებად ის იღონა, რომ გენერალ ანშიკაის დეპეშით მისწერა: დაბეჯითებითა გთხოვ შემწეობა აღმოუჩინო და იხსნა როგორმე ევროპიელნი პეკინშიო.

ბერლინი. იმპერატორმა დეპეშები მისწერა გერმანიის ესკადრის უფროსს, ცზიანჩჟოუს გუბერნატორს, შანდუნის გენერალ-გუბერნატორს, ვიცე-კოროლებს ნანკინისა და ვუჩუანისას, რომ იმპერატორის სიტყვას გაძლევთ: ყოველ აწ პეკინში მომწყვდეულ უცხო-ქვეყნელის გადარჩენისათვის, რა ეროვნებისაც უნდა იყოს, ოღონდ ცოცხალი გარდაეცეს გერმანიისა ანუ სხვა უცხო-ქვეყნის წარმომადგენელთ, 1000 ტალერს გარდავიხდიო. იმპერატორივე ჰკისრულობს ყოველს ხარჯს მისის დაპირების პეკინში გარდაცემისას.

პეტერბურგი. 23 ივნისი. ბირჟა. ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლებს 5%-ს აფასებენ 98 მანეთად, 4½%—86½ მან. გაიყიდა; ქუთაისისას—6%-ს აფასებენ 100 მან., 5%-ს—98 მან.

◆

წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი მერეთის მემამულეთ, რომელთაც სკოლის ბაღს დაუთმეს სარწყავი წყალი; ბ-ნს ანტონ ფურცელაძეს—„ჯეჯილის" გზავნისათვის, ისაია ფურცელაძეს—ორის „პარტის" შემოწირვისათვის და მარიამ გაბაშვილისას—ქართულის ნოტების გამოგზავნისათვის.

მერეთის სამინისტრო სკოლის მასწავლებელი პეტრე გიორგის ძე
მახარობლიძე

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ჩემისა და ჩემის მრევლითურთ ყოვლად-სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ დაბა ჩახატაურის ღვთის-მშობლის ეკკლესიას ასი მანეთი შემოსწირა.

მღვდელი ნესტორ გ. შაქარიშვილი

◆

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული: პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

27 ივნისი

საქმე ილია დიმიტრის ძის თუხარელისა, რომელსაც ბრალად ედება ხუთის კოდის ხორბლისა და სამის კოკის ღვინის მოპარვა.

საქმე სანდრო ყარაშვილისა, რომელსაც კაცის სასიკვდილოდ დაჭრა ჰბრალდება.

◆

განცხადებანი



თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვისა.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ განუწყვეტლივ აქვს წყალი თავის-თავად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხოვოა მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მიჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—13)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Іюня 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე